სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 2019-6 გრანტი

ქ. ბათუმი 06.05.2019 წელი

ერთის მხრივ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორი ინგა გოგიბერიძის სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე “ზურაბ მოქიას“-ს სახით (შემდგომში „შემსრულებელი“) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს 13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - დამკვეთსა და შემსრულებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „დამკვეთმა“ „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „დამკვეთი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს დაკვეთას.

1.5. „შემსრულებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესასრულებელ სამუშაოებს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „შესასრულებელი სამუშაო“ - ძირითადი შენობის შესასვლელი კიბის და არსებული პანდუსის დემონტაჟი, მოკირწყლვა,მობათქაშება, მოპირკეთება, ახალი პანდუსის მოწყობა.

2. სტანდარტები და გარანტია

2.1. ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს „დამკვეთის“ მიერ მოთხოვნილს არსებული სტანდარტების შესაბამისად.

2.2.. 2.1. პუნქტში აღნიშნული ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში „დამკვეთი“ უფლებამოსილია არ მიიღოს შესრულებული სამუშაოები ან/და „შემსრულებელის“ მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

2.3 მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა - საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 12 (თორმეტი) თვე.

2.4 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ექსპლუატაციის პროცესში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, გამოასწოროს წარმოქმნილი ნაკლოვანება/დეფექტი საკუთარი ხარჯებით.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „შემსრულებელი“ თანახმაა „დამკვეთს“ შეუსრულოს შემდეგი სამუშაოები, კერძოდ: ძირითადი შენობის შესასვლელი კიბის და არსებული პანდუსის დემონტაჟი, მოკირწყლვა,მობათქაშება, მოპირკეთება, ახალი პანდუსის მოწყობა.
(GPV 45111300,45432112,45262650,45341000).

3.2. „ხელშეკრულება“-ს თან ერთვის შესასრულებელი სამუშაოების დასახელება და ფასების ცხრილი (ფორმა №3), რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულები“-ს განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. შესასრულებელი სამუშაოს ფასი განისაზღვრება ლარებში.

4.2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება მოცემულია №3 ფორმაში.

4.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 5622 (ხუთიათასექვსასოცდაორი) ლარი 50 თეთრი.

4.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებულ „შემსრულებლის“ ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1.. „შემრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების კონტროლს და მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ „დამკვეთი“: ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“-ს დირექტორი ინგა გოგიბერიძე, საფინანსო და სამეურნეო სამსახურის უფროსი ნათელა ცინცაძე, მთავარი სპეციალისტი სამეურნეო დარგში ალექსანდრე გოგელია.

5.2. „დამკვეთი“ უფლებამოსილია მოახდინოს შესასრულებელი სამუშაოს კონტროლი/ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3. „დამკვეთმა“ თავისდროულად უნდა აცნობოს „შემსრულებელს“ დაწუნებული შესრულებული სამუშაოსა და წუნდების მიზეზის შესახებ.

5.4. „შემსრულებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის/ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესასრულებელი სამუშაოს ვადა, ადგილი და პირობები

6.1. „შემსრულებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეასრულოს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

6.2. შესასრულებელი სამუშაოები განხორციელდება შემდეგ მისამართებზე: ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №21 (ძირითადი კორპუსი)

6.3. შესასრულებელი სამუშაოები განხორციელდება ხელშეკრულებაზე თანდართული №3 ფორმის შესაბამისად.

6.4. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ფორმა №3-ში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესასრულებელი სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

7.1. სამუშაოები ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2. „დამკვეთი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს „შემსრულებელს“ შემოწმების შედეგები დაწუნებული შესრულებული სამუშაო და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.3. შესრულებული სამუშაოს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „შემსრულებელი“.

7.4. შესრულებული სამუშაოს მიღების დასტურია მიღება-ჩაბარების დოკუმენტი.

8. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

8.1. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან“ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.3. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8.4. ანგარიშსწორება განხორციელდება **აშშ-ის მთავრობის გრანტის საკუთარი შემოსავლებიდან**.

8.5. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა შესასრულებელი სამუშაოს დამთავრების და მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, „შემსრულებლის“ მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. „შემსრულებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების) შემთხვევაში, „შემსრულებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.2. „დამკვეთის“ მხრიდან ხელშეკრულების 8.5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში „შემსრულებელი“ უფლებამოსილია დააკისროს „დამკვეთს“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 პროცენტის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებულო პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან დამკვეთისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. „შემსრულებელმა“ „დამკვეთის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1. „დამკვეთს“ შეუძლია მთლიანად და ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „შემსრულებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „შემსრულებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „დამკვეთის“ მიერ გაგრძელების ვადებში არ შეუძლია შეასრულოს მთელი სამუშაო ან მისი ნაწილი;

ბ) თუ „შემსრულებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „შემსრულებელს“ დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

13.3. „დამკვეთს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „დამკვეთისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „შემსრულებელის“ გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში „დამკვეთი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსრულებელს“ ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელბიც არა არიან დაკავშირებული „დამკვეთისა“ და/ან „შემსრულებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევის მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს

ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1. „დამკვეთმა“ და „შემსრულებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

19. გადასახადები და დაბეგვრა

19.1. „შემსრულებელი“ პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

20.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

20.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად. აქედან ერთი ეგზემპლარი ინახება „დამკვეთთან“, ხოლო ერთი ეგზემპლარი „შემსრულებელთან“.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი“

„ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“
საინდიფიკაციო კოდი 245608597
ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. №21
ტელ: 27 35 74,
ელ. მასამართი: bibliotekabatumis@gmail.com
ბანკის დასახელება – სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგ. GE24NB0330100200165022

„შემსრულებელი“

ინდ.მეწარმე “ზურაბ მოქია”
საინდიფიკაციო კოდი 61001024173
ქ. ბათუმი, ლადო ასათიანის 1 შეს,№4
სს „თიბისი ბანკი“
კოდი TBCBGE22
ანგ. GE46TB7868745064300009

დირექტორი ინგა გოგიბერიძე

ი/მეწარმე ზურაბ მოქია

ინფორმაცია

ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.ბათუმი 06,05,2019 წელი

ვადასტურებთ,რომ (არაკომერციული) იურიდიული პირი - „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ -ს ძირითადი შენობის შესასვლელი კიბის და არსებული პანდუსის დემონტაჟი, მობათქაშება, მოკირწყლვა,მოპირკეთება, ახალი პანდუსის მოწყობის მიმდინარე სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ - „აკაკი წერეთლის სახელობის
ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“
დირექტორი ინგა გოგიბერიძე

საფინანსო და სამეურნეო სამსახურის
უფროსი ნათელა ცინცაძე

მთავარი სპეციალისტი სამეურნეო დარგში ალექსანდრე გოგელია

ინფორმაცია

საქონლის დასახელების, ფასებისა და მიწოდების ადგილის შესახებ

ფორმა №3

№	შესასრულებელი სამუშაოები	საზომი ერთეული	რაოდენობა	ფასი	თანხა	მიწოდების ადგილი
45111300	შესასრულებელი სამუშაოები:შესასვლელი კიბის დემონტაჟი	მ	32,55	25	813,75	ქ.ბათუმი, ვაჟა-ფშაველას 21
45432112	შესასვლელი კიბის ჩამოსხმა არმატურის ბადეში გათვალისწინებული ღეროების ერთმანეთთან დაკავშირება 2მმ დიამეტრის მქონე გამომწვარი მავთულის კვანძებით.	მ	32,55	30	976,5	
45432112	შესასვლელი კიბის ბაქნის ჩამოსხმა 20 სმ სისქის მონოლითური ბეტონის	კვ.მ	17,3	30	519	
45111300	არსებული პანდუსის დემონტაჟი	კვ.მ	19,2	25	480	
45111300	ახალი პანდუსის მოწყობა სამშ.ბლოკი 15*18-39-6 თვლიანით	ც	60	0,5	30	
45432112	ახალი პანდუსის ბეტონის მოწყობა	კუბ.მ	2,5	125	312,5	
45432112	მოკირწყლვა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი	კვ.მ	19,2	30	576	
45341000	მოაჯირის დემონტაჟი-მონტაჟი, შეღებვა	მ	9,65	30	289,5	
45262650	მოპირკეთება მარმარილო და კირის შემცველი სამშენებლო ქვა	კვ.მ	68,75	20	1375	
90512000	სამშენებლო ნაგვის გატანა				250	
	სულ თანხა				5622,25	

თანხა: ხუთიათასექვსასოცდაორი ლარი 50 თეთრი.

დირექტორი ინგა გოგიბერიძე

ი/მ ზურაბ მოქია